ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4791381

ნომერი: AR1721525

თარიღი : 29.11.2019

გაცემის თარიღი : 13.12.2019

გაცნობის თარიღი : 03.02.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 77ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე თოფურია პ/ნ 01026009059
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 34ა, ბინა 69

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სამეცნიერო და საგანმანათლებლო ობიექტები
  - სკოლა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია AR1721525 ელექტრონული განცხადებით დაყენებული მოთხოვნაზე ქ. თბილისში, მ. კოსტავას N 77ა_ში, შპს ,,საქართველოს უნივერსიტეტის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი № 01.10.13.023.047), მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენასთან დაკავშირების სკოლის რეკონსტრუქციის (დაშენების) მიზნით.

ქალაქ თბილისისი მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის საკითხი და მიიღო დადებითი გადაწყვეტილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ N01192591080-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის საფუძველზე გამოიცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 11 ნოემბრის №01.011931524 ბრძანება შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციისთვის ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით.

ქალაქ თბილისისი მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის 2019 წლის 13 დეკემბრის წერილით დგინდება რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 11 ნოემბრის №01.011931524 ბრძანება ითვალისწინებს შენობის რეკონსტრუქციას არსებულ გაბარიტებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვინაიდან თქვენ მიერ მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა სკოლის რეკონსტრუქციის (დაშენების) მიზნით ხოლო მერის 2019 წლის 11 ნოემბრის №01.011931524 ბრძანება ითვალისწინებს შენობის რეკონსტრუქციას არსებულ გაბარიტებში სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.